საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11412/01
04/12/2020

11412-01-2-202012041510

შპს „უოლნათს.ჯი“-ს დირექტორს,
ბატონ დავით ბუხნიკაშვილს

მის: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ი. თარხნიშვილის ქ., №16

ბატონო დავით,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 11 ნოემბრის N 17659 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. პალდოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარე იორიდან სასოფლო-სამეურნეო სარწყავი წყლის აღების მიზნით სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის საკითხს.

როგორც სამინისტროს 2020 წლის 4 ნოემბრის N 10443/01 წერილით გეცნობათ, სკრინინგის განცხადებაში არ იყო მოცემული და დაზუსტებას საჭიროებდა საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, რაც წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში კვლავ არ არის მოცემული:

- ინფორმაცია მდინარე იორის ჰიდროლოგიის და იორის წყლის ხარჯის შიდაწლიური გადანაწილების შესახებ წყალაღების კვეთში;
- დაზუსტებას საჭიროებს მანძილი სატუმბი სადგურიდან უახლოეს მოსახლემდე ან/და დასახლებულ პუნქტამდე;
- წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია სამი რეზერვუარი. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული რეზერვუარების ტექნიკური პარამეტრები (ტიპი, მოცულობა, ფართობი) და განთავსების GPS კოორდინატები.
- სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილია საპროექტო სარწყავი მილის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ სადაწნეო მილზე (N 51.00.783) დაერთება.

წარმოდგენილ განცხადებას თან უნდა ერთოდეს შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სკრინინგის განცხადებაში არაა მოცემული ინფორმაცია პროექტის განხორციელების ხანგრძლივობის და მისი განხორციელების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის შესახებ;
- ინფორმაცია პროექტის განხორციელებისას ნიადაგზე, ატმოსფერულ ჰაერზე და ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ასევე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ეტაპზე ხმაურის წარმოქმნასა და გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები;

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც თქვენ მიერ სამინისტროში წარმოდგენილი იქნება ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადება.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე